



შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ლენინის დაბრუნება	1
2. რა უნდოდა ვლადიმერ ილიჩს, რას შეწირა მთელი თავისი ხიცოცხლე	4
3. მოგონება ლენინზე,—ლექსი ავთ. კაშმაძის	5
4. იქ, სადაც საბჭოები იზრდებოდა	7
5. ზოია,—ნათარგმნი ნამი კრემერის	10
6. ზამთარი—ლექსი შიო ზღვიშელის	13
7. ხანძარი (რუსულიდან)—ვლ-ის	14
8. ყოჩაღი დაიგი	18
9. წავშალოთ ესენი	21
10. თოვლის ქარხანა,—ლექსი ნოე დაფნარელის	22
11. 1905 წელი და სისხლიანი კვირა	23
12. მილიონერის კატა და უმუშევარი	26
13. კოლმურნეთა სიმღერა,—ლექს. დ. თურდოსპირელის	31
14. ქალღმერთის შენობები	31
15. აი როგორ მოვაწყვეთ ჩვენი ჯგუფის მუშაობა,—ქ. საანისვილის	32
16. საბავშვო წიგნები,—ნ. ნ.—გარეკანზე	

ლენინის დაბრუნება



1. თერთმეტ წელიწადს იყო ლენინი გადასახლებული და შემდეგ ისევ დაბრუნდა რუსეთში. ფინეთიდან მარხილით ამხანაგებთან ერთად გადმოიარა საზღვარი და გადაჯდა მატარებელში.



3. პეტროგრადში უკვე დილიდანვე იცოდნენ — ლენინი მოდისო. ჯავშოსანი დივიზიის შტაბში აწკრიალდა ტელეფონი: „მოეშალეთ შესახვედრად, სალამოს 7 საათისათვის ჯავშოსანი მზად იყოს ფინლიანდის სადგურთან“



2. ლენინმა იცოდა, რომ დროებითი მთავრობა მას დაიქვრდა, მაგრამ დატუსაღების არ ეშინოდა, ის მიდიოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშების შესაკავშირებლად.



4. სალამო ახლოვდებოდა. ჯარები მიეჭარებოდნენ სადგურისაკენ. ყოველის მხრიდან ქუჩებიდან და შესახვევებიდან მოდიოდა ქვეითი ჯარები და განმთავრების კარები და განმთავრების დენ დარაზმული მუშები

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო



5. ფინეთის ყურეში მორბოდნენ თავჩალუნული მეზღვაურები. ყინული სკდებოდა მათ ფეხქვეშ. მეზღვაურები კრონშტადტიდან ფეხით მოდიოდნენ.



6. მატარებელი ბაქანთან გაჩერდა. იგრილაა ორკესტრმა. ვაგონის კარები გაიღო, და ბაქანზე ლენინი გამოჩნდა.



7. ლენინი საპატიო სტუმრებისათვის მომზადებულ საზეიმო დარბაზში გაიყვანეს. ლენინი მხოლოდ რამდენიმე წუთს დარჩა იქ: ეჩქარებოდა მოედანზე, სადაც მუშები ელოდნენ მას.




8. მთელ საღკურს აუარებელი ხალხი შემოხვეოდა. გამოჩნდა თუ არა ლენინი კარებში, მთელი ხალხი გაექანა შესაგებებლად.

— გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს! იგრილა ხალხმა. ლენინი აიყვანეს ხელში და ჯავშნოსანისაკენ წაიყვანეს.



9. ჯავშნოსანზე წარმოთქვა ლენინმა სიტყვა. მან მიმართა პეტროგრადის რევოლუციონურ მშრომელ ხალხს. ის ამბობდა: ხელისუფლება მუშებმა უნდა ჩაიგდოს ხელშიო.

— გაუმარჯოს მთელი ქვეყნიერების სოციალურ რევოლუციას! — დამთავრა მან სიტყვა.



10. რამდენიმე დღის შემდეგ გენერალურ შტაბში გაიმართა სამხედრო თათბირი.

— რატომ არ არის ლენინი დაპატიმრებული? ვინ შემოუშვარუსეთში? — ეკითხებოდნენ გენერლები ერთმანეთს.

მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო გენერლების წუხილი: ლენინის საიმედო მცველები იყვნენ ლენინგრადის მუშები.



11. ნახევარი წლის შემდეგ გაიმარჯვეს მუშებმა ლენინის ხელმძღვანელობით. ასრულდა ის, რის შესახებაც ლაპარაკობდა ლენინი ჯავშნოსანიდან.



12. 1927 წელს, ოქტომბრის 10 წლის თავზე, ლენინგრადის მუშებმა ლენინის ძეგლი დაუდგეს. ეს ძეგლი ფინლიანდიის საღვურთან დგას, იმ ადგილას, სადაც ამბობდა ლენინი თავის პირველ სიტყვას ჯავშნოსანიდან.



ჩა უნდოდა უკიდურესი იღიწს, ჩას მუსნიჩა მთელი თაჟიწი სიხოსხლა

ვლადიმერ ილიჩს უნდოდა, რომ ქვეყნად არ ეოფილიყო ბა-
ტონი და ემა, რომ არ ეოფილიყო მდიდარი და ღარიბი. მას არ
უნდოდა, რომ მუქთანსორა მემამულეებს უსაქმურად ეცხოვრათ და
ამ დროს კლესებს და კლესის შვილებს, რომლებსაც შურიც არ
ქქინდათ საძლომად, თავუდეებლივ ემუშავნათ.

მას არ უნდოდა, რომ ფაბრიკა-ქარხნები მცირე რიცხოვანი კაპიტალისტების ხელში ეოფილიყო, მაშინ, როდესაც მილიონიან მუშებს არ გახანდათ არაფერი, სრულიად არაფერი.

ის ამბობდა: ადამიანები თანასწორნი არიან, სადაც ვინდა ცხოვრობდენ, ქვეყნის რომელ ნაწილშიც ვინდა იმოფებოდენ, რანაირიც ეუოს მათი კანის ფერი, რანაირ ენსეც ლაპარაკობდენო.

ის ამბობდა: მუშები ერთმანეთის შმები არიან: ქართველებიც, სომხებიც, თათრებიც, რუსებიც, ჩინელებიც, გერმანელებიც, ფრანკებიც, ინგლისელებიცო...

ის იბრძოდა იმისათვის, რომ ეეეცა ამთ ეცხოვრათ ადამიანურად და ძიელათ თავის შრომაში სრული ხელფასი.

ამხანაგ ლენინს უნდოდა, რომ ეეეცა მუშის და ღარიბი გლეხის შვილებს ესწავლათ სკოლაში, რომ სკოლები არ ამენებულეო შროლოდ მდიდრების შვილებისათვის.

ულადიმერ ილიჩს ძალიან უეუარდა ბავშები. მან იცოდა, რომ თუ მუშათა და ღარიბ გლეხთა მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა, მაშინ გაუმჯობესდებოდა მათი ბავშების მდგომარეობაც.


მან იცოდა, რომ მაშინ ეეეცა ბავში ისწავლიდა, იქნებოდა მამდარი, ჩაცმული და იცხოვრებდა თბილ და სინათლიან ოთახებში.

ულადიმერ ილიჩი შროლოდ ერთს მოითხოვდა ბავშებისაგან: ესწავლათ, კარკად ესწავლათ!

მოპონება

ლენინზე

რვა წელია, ბიჭო გოცი,
რაც ლენინი აღარა გეუახს,
მისი შუბლი, დიდი შუბლი,
მერე აღარ დაგვინახავს.





სახლში ვიჯექ მარტოდ-მარტო,
შემოვარდა ჩემთან ლაღა,
სსახა-სსუპით „იგი მოკვდა“—
უცბად ასე მომხსალა.

შაქსიმ გორკი და ლენინი.

„ვინ?“—მივეზარდი წამს და ვუთხარ.
გარეთ მშრალად ისეე თოვდა,
„ჩვენ ლენინი აღარა გვუბნის,
აღარ არის, იგი მოკვდა“.



მე თვალები დამენახა,
გაფიქვარე მერე გული;
„ბოლშევიკებს არ სჩვევიათ
არც ტირილი, არც წუწუნი“—

ასე ვუთხარ მე ჩვენს ლაღას,
თან დიდ ქუჩებს შევუერთდით
და სირბილით, სწრაფად, ჩქარა
დიდ ბუღაღის ცხედარს შევხვდით.



მას შეჭყიტა ჩვენმა ცეკამ
და ცხედართან ფიცა დასდეს,
რომ იმის გზას, ბრძოლით კაფულს,
არასდროს არ ვუღალატებთ.

ავთანდილ კაშმაძე.



მე, საღაას საბჭოები იზრდება

მა-ფუნ-სიანს ფული სჭირდება.

მა-ფუნ-სიანს დანგრეულ ქოხში ავადმყოფი ცოლი უწევს და ჰატარა შვილი ჭკუას.

— ნიუ¹⁾ თუ არ მექნა, ჩვენი ბიჭიკო მოკვდება, — უთხრა მა-ფუნ-სიანს ცოლმა.

ცოლი ბევრს ვერ იცოცხლებს, სელები სულ უწვრილდება და უწვრილდება. რმეც გაუძრა. მთლად გასმა.

მა-ფუნ-სიანს დაკოჟრილი შავი სელები აქვს. მუშაობის არ ვშინია, მაგრამ მუშაობა ვერ ჭკვებავს მას.

ჰეი-ტინ-ფუ მდიდარია, ბევრი მიწაწვავალი აქვს და ბევრს მართებს მისი ფული.

ჰეი-ტინ-ფუ თავისუფლად დაიარება კლესების ეანებში და ნება-დაურთველად შედის მათ ფანსებში²⁾). მა-ფუნ-სიანს ნებადაურთველად ჰეი-ტინ-ფუს სასლის ასლოს გავლაც კი აკრძალული აქვს.


მა-ფუნ-სიანმა ვაათავა მუშაობა.

— ბატონთან უნდა წავიდე ფულისათვის, — გადაწყვიტა მან. გაინადა დაგლეჯილი ქოშები და ფესშიშველა შევიდა ჰეი-ტინ-ფუსთან.

ჰეი-ტინ-ფუმ ის იყო ისაღილა და ისვენებდა.

¹⁾ ჩინურად რძე.

²⁾ ფანა-სახლი.



— ფულისთვის მოვედი, ბატონო, — უთხრა მან ნელი სმით-
ზეი-ტინ-ფუ წამოიწია.

— ფული ციან-ჩი-ფუს გამოართვი, ჩემი მარტებს.

მა-ფუნ-სიანმა თვალები დააჭეიბა.

— მოხუცი ციანი სომ ამ ერთი თვის წინ კარდაიცვალა.

— შენი სამუშაოს სელფასში მისი ფანსა წაიღე, — მიუგო
ზეი-ტინ-ფუ.

— ფანსა სადა აქვს, აკი თქვენ გაუიღეთ ის ამ საში წლის
წინად. მოხუცი ციანი ქუჩაში მოკვდა.

ზეი-ტინ-ფუ გაბრუნდა, დაუძახა მოსამსახურეებს და მა-ფუნ-
სიანი ჭიშკარს გადაღმა გააკვდეს.

ორი დღის შემდეგ მა-ფუნ-სიანის ცოლი კარდაიცვალა.
საში დღის შემდეგ, რადგანაც რძე არ ჰქონდა, შეილიც მოკვდა.
დარჩა მარტოდ-მარტო მა-ფუნ-სიანი. იჯდა თავის ფანსის კარებ-
ში და ფიქრობდა:

— უველგან ასეა... გენერლები ომობდენ და ჩვენ კი ვინო-
ცებით, მდიდრები მდიდრდებიან, ჩვენ კი უფრო და უფრო ვღატაკ-
დებით, ისინი დაშინაშევენ არიან, სამსჯავრო კი ჩვენ კვდებს ბრალს...
შეილი მოაგონდა.

— წუეულიც იუაეთ! — დაიუირა მან, — მე მივდივარ იმათთან,
ვინც თქვენ გაგანადგურებსთ და მოკლბობსთ!

და მა-ფუნ-სიანი წავიდა ტყეში.

ტყეებში კი ჰარტიხანული რაზმებისგან ჩინუთის წითელი არ-
მია დგებოდა.



ერთ ღამეს, როდესაც ზეი-ტინ-ფუ თავის საანგარიშო წიგნში
შთელი კვირის შემოსავლის რაოდენობას სწერდა, ფანსის კედელი
შეინძრა. და მა-ფუნ-სიანი შემოვიდა. მა-ფუნ-სიანს ახლა ფესი არ
კაუნდია და მისი ფეხსაცმელებისაგან ხალაჩებზე კვალიც დარჩა.

მა-ფუნ-სიანი მივიდა ზეი-ტინ-ფუსთან და შესძახა:

— შენ გინდოდა მე ფული მკვდრისაგან აშელო, წადი ახლა
და თვითონ აიდე, მოხუცი ციანი შენ გელოდება...

მა-ფუნ-სიანმა ამოაღება ვუკლა მისი მოკვლის საბუთები, ჩაი-
დვა ჯიბეში, გადააბიჯა ზეი-ტინ-ფუს ცხედარს და კარეთ
გამოვიდა.

სახლის კედელთან კოცონი ავიზგისდა. მა-ფუნ-სიანმა კადი-
სროლა შიგ ქაღალდები და შესძახა:

— დაიწვიოთ იმ სასისღარის ბუნჯთან ერთად, ვინც ჩუნი
ცოლშვილი და დედ-მამა იმსხვერპლა!

მკვლეი ფანსის წინ საბჭოთა სელისუფალოთ ასარჩევად ხალხი
შეიკრიბა.

საბჭოში ზეი-ტინ-ფუს მოჯამბეკირეები აირჩიეს.

არჩევნების შემდეგ მა-ფუნ-სიანმა ილაპარაკა.

შეუ ღამდებოდა, როდესაც მან თავისი სიტყვა დაასრულა.

მა-ფუნ-სიანი მოუწოდებდა, — ხელში ჩაეკდოთ ის ქაღაქი,

რომელიც ახლა გენერლების ხელში იყო.

აი როგორ გადადგა პირველი ნაბიჯი ხალხმა საბჭოთა რეს-
პუბლიკის დასამყარებლად ჩინეთში, დასავლეთ ფუძიანში.



— ზოია, რატომ მოიქეცი ასე? მე ვერ გა-
მიგია, — შენ უკვე თერთმეტი წლისა ხარ...

— მაშა, მე არ შემიძლო სხვანაირად მოვექცე-
ულიყავ...

— ეური მიგდე, შენ ხომ იცი, რომ ჩვენ უცხო, კაპიტალი-
სტურ ქვეყანაში ვართ... მოიცადე, მაღაზარაკე...

— მაშა, ნუ ჯავრობ, მე ვეველაფერი შესძის, ვიცი, რომ შენ
საფაქრო წარმომადგენლობის თანამშრომელი ხარ, ვიცი, რომ მე
პიონერი ვარ, ვიცი, რომ მე უნდა ვიყო ნამდვილი გამძლე რე-
ვოლუციონერი, ვიცი, ვიცი, ვიცი, მაგრამ ისიც ვიცი, რომ შენც
ასე მოიქცეოდი ჩემ ადგილზე: შენ ხომ რევოლუციონერი ხარ.

მაშაძ უნებურად გაიღიმა.

— საკვირველი ხარ, ზოია. უკეთესია ვეველაფერი დალაგებით
მიამბო. დაჯექ.

— არ შემიძლია დაჯვდე, ასე ვიამბობ.

— მე კი არ შემიძლია თავი აქეთ-იქით ვატრიალო, ნუ დარ-
ბისარ ოთახში.

— კარგი.

ზოია მუსლით დაეფრდნო სკამს და დაიწყო:

— ვეველაფერი იმიტომ მოხდა, რომ მე გერმანული ვი-
სწავლე.

— აი იპოვა მისეზი! საკვირველი ხარ, ზოია...

— ნუ შემაწუვეტინებ ლაპარაკს და ვეველაფერს გაიგებ. ეს ფრედი...
მანამ გერმანული არ შესძოდა, არ ვიცოდი, რას ლაპარაკობდა
ის. ვსედავდი მის პრანსვა-გრესას, მაგრამ ვცდილობდი უურადლებს
არ მიმექცია, ხოლო როცა გერმანული ენა ვისწავლე...

ზოია ჩამოსტა სკამიდან და დაიწყო სირბილი.

— აი, რა მითხრა მან ბაღში შესვედრის დროს ამ რამდენიმე
დღის წინად:

— ეი, უაჩალო, რად მოხვედი ჩვენ ქვეყანაში? შენ გკონია
ჩვენთან ცოტა მშიერიან?

მე ვუპასუხე: მე უახალი კი არა, ჰიონური ვარ და არც მშვიდი ვარ. მართალია, თქვენსა ბევრი მშვიდია, იმიტომ რომ ბევრი უმუშევარია და დღით-დღე კიდევ ემატებიან, ჩვენ ქვეყანაში კი არ არიან უმუშევრები და ამიტომ არც მშვიდები არიან მეთქი. მერე სწრაფად ჩაფურე, რომ არ შემეფურთხებია მის ფაშისტურ...

— სოია, შენ უსრდელი ხდები.

— მამა, ის ისეთი ავი და სასიხლარია! დამიკდე უური შედეგ შეხვედრასე მან მითხრა: „დღეს დაისურა ბეკერის ქარსანა, წადი, წაიუვანე შენი ძმები მუშები, სანამ ისინი შიმშილით არ დასოცილან, წაიუვანე შენ ბედნიერ ქვეყანაში“.



მე ვუპასუხე: „მით უარესი თქვენთვის, რომ ქარსების დასურვა გჭირდებათ, ჩვენში კი ოქტომბრისათვის მთელი რიგი წარმოებები გაიხსნება, სუთწლეულის დამთავრებისას კი უკვლავ 518 გიგანტი აბუშავდება. ჩვენ, რასაკვირველია, გუჭირდება მცოდნე მუშები და ჩვენ ქვეყანაში ისინი ქუჩაში არ დარჩებიან“.

ფრედი გაბრაზდა და ენა გამოძიო. მე სწრაფად შევაქციე ზურგი და წავედი, რადგანაც მასსოვდა, რომ მუშტით ვერაფერს დავაძტვიცებ. მან კიდევ მითხრა: დღეს სკოლაში მასწავლებელმა მაგრაღ სცემა სახსავით ერთ თქვენგანსო.



— რატომ?— ვკითხე მე, — მამ ეს მართალია, რომ თქვენს სკოლებში ბავშვებს სცემენ?

— სცემენ და ძალიან მაგრადაც!

— შენ სცემეს?

— სულელო, მასწავლებელი ჩემ ცემას ვერ გაბედავს. მე თვით ბერგერის შვილი ვარ, მამასთან მასწავლებლები ბიჭებივით დარბიან-ბი წითლებს—სსუბა საქმეა. რატომ სცემეს? ამოცანა ვერ გააკეთა...

— იქნება მას რამე მიხეხი ჰქონდა. იქნება ახად იყო, არ სცალოდა...

— მიხეხებს კი ასახელებდა, მაგრამ, ალბათ, სტუიის: კანა შეიძლება დაუჯერო მანანწაღას, წითელ მანანწაღას?!

— ჩვენში კი ბავშვებს არა სცემენ, ზირიქით, ცდილობენ კარგად მოაწონ და რაც შეიძლება მეტი ასწავლონ, მათ უველა ვალერსება...

მამა, მე თავი ვერ შევიკავე და ბურჯუა, ეკონისტი და ფაშისტი დაფუძნეს. მე არ მეყო კერძანული სიტუვები და უკუღაფერი ეს ქართულად ვთქვი. მან გაიგო, რომ მე ვჯავრობ, გაიგო სიტუვა „ფაშისტი“ და მუშტი მახუნა. მეც არ ჩამოვრნი, მეც მუშტი დაჯანახე და დაჯირდი ცემას. როცა ვბრახობ, კერძანული სიტუვები არ მოფნის, მაგრამ ქართულად რომ ვუბუქრებოდი, ის მშვენივრად მიხუდა, სულელი გოგო დამიძანა და კაიქვა.

დღეს დილას ბაღიდან ვბრუნდებოდი, გვერდით რაღაც ხმაურობა გავიგონე, გაფისუდე იქეთ და დაჯინახე, რომ ფრედი და კიდევ ვიღაც ბიჭი შეჯახეთეს აწვალებდენ.

ცდილობდენ წაერთმიათ გასეთის ნომრები, აბრახებდენ და სქმეტდენ მას. დამინახა თუ არა ფრედმა, უერილი დაიწყო: „ბი მოდის მანანწაღების და ეახლების დამცველი!“ ბიჭებმა სიცილი დაიწვეს, მახრახებდენ და თმებს მიწეწავდენ. განა შემეძლო თავის შეკავება?! რასაკვირველია, მე ფრედს გაჯარტეი, მორავსაც ცხვირში მიჯარტეი. მას სისხლი წამოუვიდა. ისინი ორიჯანი მეცენ... კიდევ კარკი, რომ გამყლეულ-გამომყლელებმა გაკავაშველეს, თორემ მამხვლებოდა...

ნამი კრემერი.

დაწერეთ, ბავშვებო, მართალი იყო ზოია თუ არა და როგორ უნდა მოქვეულიყო ის?



გ ა მ თ ა რ ი

თოვლი წელს ჭარბად მოვიდა
როგორც მთად, ისე ბარშია,
მინდვრები თეთრად დაბარდნა,
მთებს შემოავლო არშია.

ახლა კი სითბო დაუფლის
მიწას და ჩაბუბუქდება;
მცენარეს ეინვა ვეღარ სძლევის,
არც მუხლი მოუდუნდება.

წამოვა სემოთ თამამად
ამოსასვლელი დერიოთა,

თვალი და გული დატკებდა
სახსე მინდვრების ცქერიოთა.

დამძვენდებიან საყოფით
ვევლებან ხათესი ველები
და მეტად კალაღდებიან
შრომეფლი მკლავი და სელები.

კვლავისთვის უფრო მსხედ დახენენ
ტრაქტორით სოდაბუნებსა
და ავსებენ მოსავლით
ჯერ ბელლებს, მერე წნულებსა.

ზოი მღვიმელი.



მამა ჩვეულებრივად 5 საათზე მოვიდა სამუშაოდან. ის დიდხანს იბანდა ხელს, მ. გრამ მისი ხელები ისევ დაუბანელს ჰგავდა, მისი ხელების კანი მუდამ ყავისფერი იყო.

— ეს ტყავისაგან არის, — ამბობდა მამა, — ჩვენი ქარხანა ტყავებს ამზადებს. ჩემი ფეხსაცმელებიც, დედასიც და შენიც ჩვენ მიერ დამზადებული ტყავისაგან იკერება.

მამამ შეიმშრალა ხელები და მაგიდას მიუჯდა. ის დაღლილია, კამაუნდა.

სადილობის დროს მამა ყოველთვის ჩემად არის; არც ბეჭიკო იღებს ხმას. ის უცდის, როცა მამა სადილს გაათავებს და გაიწმენდს ხელებს: მაშინ დაისვამს ბეჭიკოს მუხლებზე და უამბობს საინტერესო ამბებს.

მაგრამ მამამ დღეს ვერაფრის მოყოლა ვერ მოასწრო. მას გათავებულიც არ ჰქონდა სადილი, რომ ქარხნიდან საყვირის გაგრძელებული ღრიალი მოისმა. საყვირის ხმა თანდათან ძლიერდებოდა და გაჩერებას აღარ აპირებდა.

მამა გაფითრდა, წამოხტა სკამიდან და მიაყურა. უცბად საყვირის ხმა სხვა მხრიდანაც მოისმა, კიდევ... კიდევ...

ახლა უკვე ყვირის არა მარტო მამის ქარხანა, რომელსაც ბეჭიკო კარგად იცნობს: მას დაბალი და გაგრძელებული ხმა აქვს, არამედ ყველა ქარხანამ ერთად დაიწყო ყვირილი. აი, სულ წვრილი საყვირი. ეს, ალბათ, დედის ქარხანა „ოქტომ-



ბერი* იქნება... მაგრამ ამდენ ხმაში რას გაარჩევ...

საყვირები კი ისევ ღრიალებენ. ღრიალებენ სხვადასხვანაირი ხმით და მოუწოდებენ ხალხს.

— მამა, რა არის ეს?

— განგაში! — წაიღუდუნა მამამ, დაავლო ქულს ხელი და გაიქცა.

დედამ ფანჯარაში გაიხედა.

— ქარხანა იწვის, — ჩაილაპარაკა მან.

— მამას ქარხანა? — და ბეჟიკო გაედგინა მამას.

— ბეჟიკო, დაბრუნდი!

მაგრამ ბეჟიკოს აღარ ესმის, ის ქუჩაში გაეფარდა. მამა აღარსად ჩანდა.

ქუჩებში მიქროდნენ მებანძრეთა მანქანები. ცა დაფარული იყო სქელი და შავი ბოლით. ჰაერში დამწვრის სუნი იდგა.

ქარხნის ეზოსთან ხალხი ფუსფუსებდა, ხმაურობდა, ყვიროდა, აწყდებოდა ეზოს კარებს. მილიციონერებმა ეზოს ალყა შემოარტყეს, ხალხს არ უშვებდნენ ანთებულ ქარხანასთან. ბეჟიკოც ხალხში დაძრწოდა. ის ხედავდა, როგორ გაირბინეს ეზოში მებანძრეთა რაზმებმა წყალტუმბავი მილებით, საყვირით და ზარების რეკით დაქროდნენ წითელი სახანძრო ავტომობილები.

ბეჟიკო თითქმის დაყრუვდა ამოდენა ხმაურობისაგან.

ხალხი ყვიროდა, ცეცხლი სტვენდა, სახანძრო ავტომობილებს გუგუნი გაჰქონდა, მაგრამ ყველაზე ხმამაღლა ქარხნები ღრიალებდნენ, ძლიერი ქარი ფანტავდა სქელსა და შავ ბოლს, ჰაერში შავი ნაფლეთები ტრიალებდა. ხალხში ტირილი ისმოდა, ვიღაცამ შეჰყვირა:

— ტყავი იწვის, ტყავი!

შავი ნაფლეთი დაეცა ბეჟიკოს ხელზე. ნაფლეთზე კიდევ ბრწყინავდა წითელი ნაბერწყლები. ეს დამწვარი ტყავი იყო. უცბად ჩამოინგრა დამწვარი სახურავის ნაწილი. თავდავიწყებული ბეჟიკო ეზოში შევარდა. მის უკან მილიციონერი რაღაცას ყვიროდა, წინ კი სულ ახლოს ვიზგიზობდა ცეცხლის ალი.

იქ, ანთებულ ქარხანაში, იყო მამა.

შეშინებული ბეჟიკო უფრო სწრაფად გაიქცა. ვიღაცამ ხელი წაავლო.

— შენ საით?

ბეჟიკო შეჩერდა. მის ყურებში რაღაც რეკდა. ცეცხლმა თვალები დაუბრმავეა, მის თავში ყველაფერი ტრიალებდა. სულ ახლოს, ყურთან, მებანძრემ ჩასძახა:

— აი იქ კურკელი დგას წყლით, მოიტანე აქ!



ბეეიკო გაიქცა წყლისაკენ. სახან-
პრო ავტომობილთან მუშები წყალს
ტუმბავდნენ. მათ ცხელოდათ მუშა-
ობისაგან. ხელები, სახის კანი სიცხი-
საგან უსკდებოდათ. ისინი გამოსტა-
კებდნენ ხოლმე ბეეიკოს ჭურჭელს
და ხარბად სვამდნენ ცივ წყლს.

ბეეიკო მთლად დასველდა წყლი-
საგან.

მისი ქერა თმები ქვარტლისა და
წყლისაგან შავად შეიღება. მას ხე-
ლები უკანკალებდა, მაგრამ წყალს
მაინც აწვდიდა პირგამშრალ მუშებს.
ის ვერც კი ამჩნევდა, რომ დაღლილ-
იყო.

წყალი მიღებიდან სახურავებზე
მიეშურებოდა: ცეცხლი, რომე
ლიც ხან ქრებოდა წყლისაგან და
ხან ხელმეორედ ინთებოდა, შიში-
ნებდა, ხმაურობდა...

ქვარტლით გამურულმა მუშებმა
გადაარჩინეს დამზადებული ტყავის
დიდი ნაწილი.

და უცბად ბეეიკომ იცნო მამა. ის
ამხანაგებთან ერთად ანთებულ ფან-
ჯარაში გამოჩნდა. ისინი ერთად
ეზიდებოდნენ მანქანების მძიმე ნაწი-
ლებს ბეეიკომ წყლიანი ჭიქით ხელ-
ში მამასთან მიირბინა.

— წყალი, მამა, ჩქარა წყალი!
მამა არაფერი არ თქვა, წაავლო
ხელი ჭურჭელს, დალია და ამხა-
ნაგებს გადასცა. ბეეიკო ხელმეორედ
გაიქცა წყლისათვის.

დიღხანს იწვოდა ქარხანა, დიღხანს
დაუსვენებლად მუშაობდნენ მესხანძრე-



თა რაზმები და მუშები, და მხოლოდ
მამინ, როცა სულ ჩააქრეს ხანძარი,
მამამ აიყვანა ხელში ბეეიკო და ში-
ნისაკენ გაემართა.

ბეეიკო დაიღალა, ისე დაიღალა,
რომ სიარული აღარ შეუძლია. თვა-
ლები ეწვის, ყურებს შიშინი გააქვს
და ის სულ პატარა ბავშვივით წევს
მამის მკერდზე და ტირის.

— ნუ სტირი, ბეეიკო! შენ ძალიან
დაგვეხმარე. ჩვენ ყველამ ერთად
დაწვას გადავარჩინეთ აუარებელი
ტყვი და ძვირფასი მანქანები...



აფრიკის ერთ-ერთ კუთხეში, ლიბერიაში, ცხოვრობდა ბიჭი, რომელსაც დაიგი ერქვა.

დაიგი ღონიერი და მოხერხებული ბიჭი იყო. შვიდი წლის რომ გახდა დაიგი, უკვე კარგად იცოდა ხეებზე ასვლა, ძალღივით ყეფა. ის პატარა და გამხდარი იყო, მაგრამ დიდი ძალღივით ბოხი ხმით აყეფდებოდა ხოლმე.

ძალიან ცუდად ცხოვრობდა დაიგის მამა. ის კაუჩუკის პლანტაციებში მუშაობდა. ხედავთ — ის დგას ქაობში ხესთან და კაუჩუკის ხის სქელ, წებოვან წვენს

აგროვებს იქვე დგას დარაჯი, რომელსაც ტყავის გრძელი მათრახი აქვს და უთვალთვალებს დაიგის მამას — ხომ არ ზარმაცობსო.

„აფრიკის „კომპანიას“ ღონღონში აქვს თავისი მალაზია. ამ მალაზიაში რეზინის აუარებელი ნივთია: ბურთები, კალოშები, ავტომობილის საღებავები და სხვა. ამ ნივთებისათვის რეზინი ლიბერიის ქაობებშია ნაშოვნო. დაიგის მამამ და კიდევ ათასობით სხვა ზანგებმა მოიპოვეს კაუჩუკი, საიდანაც შემდეგ რეზინი გააკეთეს.



ერთხელ დარაჯმა მოიქნია ტყავის მათრახი და დაიღრიალა: „იმუშავე, ზარმაცო ძაღლო!“

— მე მონა არა ვარ, ნუ მი-

ყვირი, — უპასუხა დაიგის მამამ.

დარაჯმა ისე გადაჰკრა მათრახი, რომ მთელ ქაობში გაისმა მისი ხმა.

— შენ ხომ მოაწერე ხელი „აფრიკის კომპანიის“ პირობას: ხუთ წელიწადს უნდა იმუშაო! — დაიღრიალა დარაჯმა. — თუ

იზარმაცებ, თავხედობას დაიწყებ ან თავს მოიავადმუცობ, იცოდე, ბორკილები არ ატყდები!



მამა გაჩუმდა. „შეგეშინდა, ძაღლო!“ — დაიყვირა დარაჯმა. მამა მიტრიალდა, წაართვა დარაჯს მათრახი, მათრახის ტარი ჩაჰკრა თავში დარაჯს და გაიქცა.

— დაიგ, ცოლო! — დაიყვირა მამამ. — დავიღუბე, დარაჯს შე-

მოვკარი, ამისთვის სიკვდილით დამსჯიან... უნდა გავიქცე!

— ძაღლები გამოგყვებიან კვლდაკვალ და მოგაგნებენ, — წაიჩუჩულა დაიგის თავზარდაცემულმა დედამ.

— გამომყევ, მამა, — თქვა დაიგმა, — მე გ'შველი: ჰაეროვანი გზით გავიქცეთ!



გახსოვთ, ჩვენ უკვე ვთქვით, რომ დაიგმა ძალიან კარგად იცოდა ხეებზე ასვლა. დაიგის სოფლის გარშემო ხშირი ტყე იყო. დაიგმა იცოდა, რომელი ხეები იყო ისე ახლო-ახლო, რომ შეიძლებოდა ერთი ხიდან მეორეზე გადასვლა.

— გავყვეთ ხეებს, ტოტიდან ტოტზე გადავიდეთ, ხიდან ხეზე! მამა-შვილი წავიდა ჰაეროვანი გზით.

მეძებარი ძაღლები მიჰყენენ დაიგისა და მამიმისის კვალს. იმ ხესთან, საიდანაც იწყებოდა ჰაეროვანი გზა, ძაღლები შეჩერდნენ და ყუჟა დაიწყეს. ერთ-ერთი მღვევარი ავიდა ხეზე და ბინოკლით გაიხედ-გამოიხედა.

— არაზხადა! აი ის, ხიდან ხეზე გადადის მამიმუნკით! — დაიყვირა ხეზე ასულმა.

დაიგმა და მამამისმა დაინახეს, რომ მღვევრებმა მიაგნეს მათ.



დაიგი ჩამოცოცდა ხიდან. „სად მიდიხარ?“ — დაიყვირა შეშინებულმა მამამ. დაიგმა ხმაარ გასცა და ყეფა დაიწყო. ხომ გახსოვთ, რომ დაიგმა კარგად იცის ყეფა. ძაღლები აჰყვნიენ მას და ყეფით მიჰყვნიენ მის კვალს. მამა ხეზე გაინაბა. ის მიხვდა, რასაც აპირებდა დაიგი. მამაცი დაიგი გარბოდა და თანაც მეძებარივით ყეფდა. ძაღლები მას გამოედევნიენ. მაშინ დაიგი ისევ ხეზე აცოცდა. ის ხიდან ხეზე გადადიოდა, ყეფას

განაგრძობდა და თანდათან უახლოვდებოდა ქაობს. ძაღლები მას მისდედენ, ძაღლებს ადამიანები მიჰყვებოდენ. აი, დაიგი უკვე ქაობში მდგომ ხეებზეა. ძაღლები გაჩერდენ წყალთან და წკმუტუნი დაიწყეს.
— არამზადამ ქაობში შეგვასწრო!

— არაფერია, ის ლამში ჩაეფლობა, ქაობიდან ცოცხალი ვეღარ გამოვია, — თქვა ერთ-ერთმა მღვეარმა.



გადარჩენ დაიგიც და მამამისიც. ისინი მიიმაღენ. მაგრამ გახსოვდესთ — ეს სასწაულია. გახსოვდესთ, რომ ათასობით იღუპებიან ლიბერიის, სუდანის, აღმოსავლეთ აფრიკის ზანგები, ბრაზილიის ინდოელები, ინდუსები და მალაიელები ზამბისა და კაუჩუკის პლანტაციებში,


მალაროებში, ფაბრიკა-ქარხნებში. ისინი თავისუფალ ადამიანებად ითვლებიან, მაგრამ ნამდვილად კი მონები არიან.

ეს მონები უკვე იღვიძებენ, უკვე ახლოა მთელი მსოფლიოს მშრომელების განთავისუფლების დღე.


ნაპალოთ უსანი

აბა დახედეთ ამ სურათებს—ესენი სხვადასხვა სარწმუნოების მღვდლები არიან. მარცხნიდან მარჯვნივ ფრანგი პასტორი და ებრაელების რაბინი შეწუხებული იყურებიან. ჩალმით შებურვილა მოლა, დაღვრემილია ბერი, შუაზე ხუცესი გაბღენძილა, გაბრაზებული მოლაზონი იქით-აქეთ აცეცებს თვალებს, სექტანტი კბილებს აკრაქუნებს, გაბოროტებული ქსენზი ლამის გასკდეს, ჩინელი ბონზა თითქოს ეს—ეს არის უნდა ატირდეს.

ყველა ესენი ჩვენი მტრები არიან. იციან, რომ კარგი დღე არ მოვლისთ მათ.



ამხანაგებო, ჩვენ მათ არ უნდა მივცეთ გასაქანი არა თუ ცხოვრებაში, წიგნიდანაც კი უნდა ამოვშალოთ ისინი. მაშ გადავუსვათ მათ სამი პირდაპირი ხაზი.



თოვლის ქარხანა

ცევა, ცევა, თოვლი მოდის,
ქარი თოვლის ფიფქებს ჰფანტავს,
ესოდში კი მუშაობით
იწურება ოფლში ვახტანგ:
თოვლის გუნდებს ერთმანეთზე
აღებს, აწეობს, სწორად ადგამს
და ამენებს აბრეშუმის
დიდ ქარხანას თოვლისაგან.
ვახტანგს გიგლა ესმარება,
აქცე არის მარდი ელოცე,
მაგრამ მთელ ამ მშენებლობას
ისევე ვახტანგ სელმძღვანელობს.
ნაგებობას მიაშველეს
თუნუქი და აგურები.
რის ზამთარი, რის სიცივე,—
მუშაობენ ვახტანგით.
სართულები აიუვანეს,
ზედ დაადგეს დიდი მილიც,
ვახტანგ მღერის, ტაშს უკრავს და
ქარხნისბურთს უვირის.
ამბობს: „ეს ხომ ავაშენეთ,
მაგრამ კიდევ კვინდა რაღაც.“

საქმეს ნულარ ვუღალატებთ
და ნუ ვივრძობთ ესლა დაღლხს!
გიგლა! ელო! ეკ ჩანსული
თუნუქებიც გავათეთროთ
და შემდეგ კი ერთი დიდი
ბრიგადელი გავაკეთოთ“.
„კარგი, კარგი! თოვლის კაცის
გაკეთება ჩვენ სომ ვიცით,
დავაუენოთ სელად ერთი
ბრიგადელი ამ ქარხნის წინ“.
დატრიალდა ისევე ეველა,
კააქნიეს მარჯვედ სელი
და ქარხნის წინ გამოჭიმეს
მართლაც კოსტა ბრიგადელი!
სელში მისცეს ჩაქუჩი და
მკერდს მიაკრეს რაღაც დიდი,
დამკვრელობის ნიშანივით,
ქალაღდისგან გამოჭრილი!
თოვლი ისევე სელა მოდის,
ფიქრებს ისევე ჰფანტავს ქარი,
ესოდში კი უმაწვილების
სიცილია და ხარხარი.

ნოე დაფნარელი.



1905 წელი და სისხლიანი კვირა



ჩვენ, ქ. პეტერბურგის მუშები და სხვადასხვა წოდების მცხოვრებნი, მოვედით თქვენთან, მეფეო, სამართლისა და მფარველობის საქმენელად. ჩვენ გვტანჯავენ, არ გვცნობენ ადამიანებად და ისე გვეპყრობიან, როგორც მონებს. მეტი მოთმინება აღარ შეგვიძლია. ჩვენთვის დამდგარია ისეთი საშინელი ჟამი, როდესაც სიკვდილი უფრო ხანატრელია, ვიდრე ამ აუტანელი ტანჯვის გაგრძელება“.

ასეთი თხოვნით წავიდნენ მეფესთან ხატებით ხელში ქ. პეტერბურგის მუშები და მცხოვრებნი 1905 წლის 9 იანვარს. მათ წინ მიუძღოდა გამცემი და მოღალატე მღვდელი გაბონი, რომელმაც დააჯერა გულუბრყვილო მცხოვრებლები მეფის გულკეთილობაში.

შეგლისა და დახმარების სათხოვნელად მისულ ხალხს მეფის ჯარები ტყვიით გაუმასპინძლდნენ. ქალაქის ქუჩები და მოედნები შეიღება უიარაღო ხალხის სისხლით. მეფის ჯალათების ასეთი შეხვედრის საპასუხოდ პეტერბურგის მუშებმა შემდეგი მოწოდება გამოუშვეს: „ამხანაგებო, იარაღს ხელი! დაუფლეთ იარაღის საწყობებს, დაანგრეთ ციხეები, გაათავისუფლეთ თავისუფლებისთვის მებრძოლნი, გაანადგურეთ პოლიცია, დაამხეთ თვითმპყრობელობა.“




ამ მოწოდებას მუშები ქალაქის ყოველი რაიონიდან გამოეხმაურნენ. მეფის მთავრობამ მათ სასტიკი პასუხი გასცა: ამ დღეს პეტერბურგის ქუჩებში 1300 მუშა მოკლეს და 5000 დაჭრეს. ამ ამბებმა მუშები ნათლად დაარწმუნა, რომ თხოვნით და ხვეწნით კი არ შეიძლება ხალხის განთავისუფლება, არამედ შეიარაღებული აჯანყების საშუალებით. ამგვარად გადაიქცნენ პეტერბურგის მუშები რევოლუციონერებად. 9 იანვარს კი „სისხლიანი კვირა“ უწოდეს.

მაშინ ლენინი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, რადგან რუსეთში დასაქვრად დასდევდნენ. ის იქიდან სწერდა—ეს დღე არის რევოლუციის დასაწყისიო. ბოლშევიკები ამბობდნენ: „ტყუილად მიმართეთ მეფეს, რომელსაც გარს არტყია თავადების, მინისტრების, პოლიციის, მდიდრების და გამცემლების რაზმები. ისინი თავის გამდიდრებასა და კარგ ცხოვრებაზე ფიქრობენ და ნებაყოფლობით არასდროს არ იტყვიან უარს თავის

უფლებებზე... მუშების განთავი-
 ზუფლება მხოლოდ მუშების საქ-
 მია“.

დაიწყო მუშების საყოველ-
 თაო გაფიცვები, რაც რუსეთის
 ყველა ქალაქს მოედო. პოლო-
 ნეთი, ციმბირი, ამიერკავკასია,
 ყირიმი და სხვა მრავალი ძხარე
 გამოეხმურა პეტერბურგის მუ-
 შების გამორულ ბრძოლას. ამ
 ბრძოლებში რუსეთის პროლე-
 ტარიატმა მიიღო პირველი რე-
 ვოლუციონური გაკვეთილი.
 ღარიბი გლეხები და მოჯამა-
 გირეები მუშებივით აუტანელ
 ცუდ პირობებში იყვნენ და რო-
 დესაც დარწმუნდნენ, რომ მეფე-
 საგან არავითარი საშველი არ
 არის, დაიწყეს გაფიცვები. აჯან-
 ყებულ გლეხებს მეფის მთავ-
 რობა ისე გაუშასპინძლდა, რო-
 გორც მუშებს.

1905 წელს ბოლშევიკების
 ყრილობაზე ლენინის ხელმძღვა-



ნელობით გამოტანილ იქნა
 დადგენილება: „მხარი დასავლეთ-
 როთ ვლესთა მოძრაობას, რა-
 დგან პროლეტარიატის ერთად-
 ერთ მოკავშირედ შეიძლება
 მხოლოდ გლეხობა იყოს, და
 ყოველგვარი ზომა მივიღოთ,
 რომ მემამულეების მიწები გა-
 დაეცეს გლეხებს“. ყრილობამ
 დაადგინა აგრეთვე: შეიქმნას
 გლეხთა რევოლუციონური
 კომიტეტები გლეხთა მოძრაო-
 ბის გასაერთიანებლად. ბოლ-
 შევიკები მოუწოდებდნენ გლე-
 ხობას—არ გადაეხადათ ხარკი,
 არ წასულიყვენ სამხედრო სა-
 მსახურში და არ აესრულებინათ
 მეფის მთავრობის ბრძანებები.

აქედან ჩაისახა მუშათა და
 გლეხთა კავშირი მეფის თვით-
 მპყრობელობის წინააღმდეგ
 ბრძოლაში. მუშათა და გლეხ-
 თა მოძრაობა მოედო ჯარსა და
 ფლოტსაც. ჯარის ცალკეული
 ნაწილები იარაღით ხელში გა-
 დადიოდნენ აჯანყებულთა მხა-
 რზე. ზღვაზე აჯანყება პირვე-
 ლად შავი ზღვის ფლოტში და-
 იწყო. ჯავშნოსან გემზე „პო-
 ტიომკინ“-ზე. ოფიცრები მატ-
 როსებმა მოკლეს, მაგრამ აჯან-
 ყების სუსტი ხელმძღვანელო-
 ბის გამო ამ აჯანყებას დიდი
 პრაქტიკული შედეგი არ გა-
 მოუღია.

გაფიცვები თანდათან ფრ-
 თოვდებოდა. აჯანყდა ბალტი-
 ის ფლოტიც და კრონშტადტის
 მეზღვაურებიც, დაიხურა ფაბრი-
 კა-ქარხნები, შეწყდა ფოსტა-
 ტელეგრაფის მუშაობაც. დაიწ-



ყო საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, დემონსტრაციები და სისხლის მღვრელი შეტაკებები ქუჩებში. დახვრეტა და სახრჩობელები აღარ აძინებდა ხალხს. რევოლუციონური მოძრაობის სახელმძღვანელოდ პეტერბურგში აირჩიეს მუშათა დეპუტატების საბჭო. ასეთივე საბჭოები სხვა მსხვილ ქალაქებშიც აირჩიეს.

არც ბურჟუაზია იყო კმაყოფილი მეფის მთავრობით: იმანაც დაიწყო ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ამიტომ მეფე იძულებული გახდა დაეთმო და მანიფესტი გამოსცა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მანიფესტით ხალხი მოტყუებული დარჩა, ლენინი ამბობდა: მეფის დათმობა რევოლუციის დიდი გამარჯვებაა, მაგრამ ეს არ არის საბოლოო, არამედ დროებითი, რადგან თვით-

მპყრობელობა კიდევ ცოცხლობსო. პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭო ლენინის გზით მიდიოდა; მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ამ გზას უარყოფდნენ. მაგალითად, მენშევიკებს არ სწამდათ გლეხობასთან მუშების კავშირი და მოუწოდებდნენ პროლეტარიატს ბურჟუაზიისათვის დაეკირათ მხარი. ამით ისინი ასუსტებდნენ მუშათა კლასის ბრძოლას.

ბოლოს მთავრობამ გამოსცა ბრძანება: თუ გაფიცულები მუშაობას არ დაუბრუნდებოდნენ, მათ დააპატიმრებდნენ 1 $\frac{3}{4}$ -4 წლით, მაგრამ არც მუქარამ გაქრა.

1905 წლის 12 დეკემბრიდან მოსკოვში გაფიცვებმა თანდათან იმატა. 22 დეკემბერს ჯარების ჩარევას შედეგად მოჰყვა მოსკოვის პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყება. როცა

თოფის ტყვიით ველარა გააწყვეს რა, მეფის ჯარებმა აჯანყებულებს ზარბაზნის ყუმბარები დაუშინეს. გაშლილი ბარიკადული ბრძოლა, მოუმზადებლობის გამო, დამარცხდა. ამავე დროს აჯანყებები მოსკოვთან ერთად მოხდა ნიჟნი-ნოვგოროდში, ხარკოვში, პოლონეთ-

ში, ციმბირში, საქართველოში და სხვაგან.

მოსკოვში 1905 წლის დეკემბრის აჯანყება დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ, მიუხედავად 1905 წლის რევოლუციის დროებითი დამარცხებისა, პროლეტარიატს მან უდიდესი სარგებლობა მოუტანა.



ამერიკელი უმუშევრის ოჯახი.


პოლიონიის კაპა და უმუშევარი

1.

არის ერთი ქვეყანა, რომელსაც ამერიკა ჰქვია.

იქ ბევრი ხალხი ცხოვრობს და დიდი ქალაქებიც ბლომადაა. ერთ ასეთ დიდ ქალაქს ნიუ-იორკს ეძახიან.

ნიუ-იორკში ძალიან ბევრი მუშაა. ფაბრიკა-ქარხნების ჰატრონები სულ ჰატარა ჯამაგირს აძლევენ მუშებს, თვითონ ძალიან ბევრ



ფულს იკებენ და სოკიერთ მათგანს ბევრი, ბევრი მილიონი მანეთი აქვს.

ერთ დღეს ნიუ-იორკის ქუჩებში დადიოდა გამსდარი კაცი. ის ძლივს-ძლივობით მიდიოდა და ხან ერთ ქარსანაძი შევიდოდა, ხან შეორეში.

— გამარჯობა, ჯონ, — უთხრა მას ერთმა ბუშამ. ეს ბუშაც გამსდარი იყო.

— კაკიმარჯოს, სად მიდისარ?

— მისტერ¹⁾ ზოლის ფაბრიკაში. იქნებ იქ მაინც ვიშოვო სამუშაო, თორემ შიშხილით ვწედებით. აგერ მესუთე თვეა, რაც უბუშეკარი ვარ. გუშინ ქვაბები და ლეიბები გავუიდე და იმით გავისტუმრე სახლის ქირა, თორემ სახლის ჰატრონი ქუჩაში გვერიდა...

— მე კი გასაუიდი აღარაფერი მაქვს და შესამე დღეა, რაც უბინოდ ვარ. ხან ქვაფენილზე ვათევ ღამეს, ხან კიბეებზე, მაგრამ იქიდანაც გამომაგდებენ სოლმე.

¹⁾ მისტერი — ბატონი.

— წამოდი, ერთად წავედეთ.

როდესაც მისტერ ზოლის ფაბრიკას მიუხსლოდნენ, ერთ-ერთი ქალის ფანჯარაში ჯონმა მშვენიერი კატა დაინახა. კატას ლამაზი ცისფერი ბეწვი ჰქონდა, იწვა ფანჯარასუ და მსესე თებობდა.

ფაბრიკის ესოში მუშების ჯგუფი იდგა. ერთ მუშაქალს ბატარა გოგონა ჩაჰკროდა და მწარედ ტიროდა.

— რა ექნა, რა წებში ჩავეარდე, — ამბობდა ამ გოგონას დედა; — რა ვაჭამო საცოდავ ბავშვებს, რა ვაჭამო! მე ამ ფაბრიკის იმედი მქონდა, და არც აქ არის სამუშაო...

ჯონმა და მისმა ამხანაგმა გაიგონეს ქალის სიტყვები, განერდნენ, ერთხანს იდგენ უხმოდ და შემდეგ უკან გაბრუნდნენ.

როდესაც ჩაუარეს მდიდრულად მორთულ სახლს, კატას სუფთად გამოწეობილი მწარეული ადგა თავსე. კატა საუსმობდა, სუკს მიერთმეუდა.

— შესაძე დღეა, რაც არაფერი მიჭამია, — ძლივს წარმოთქვა ჯონმა, კიდევ გაიხედა ფანჯრისაკენ და სახე სიბრახით დაემხნა.

გსაჯვარედინსე დამორდენ ისინი ერთმანეთს და ბავბავით გასწიეს სხვადანსვა მწარეს სამუშაოს საძოვენელად...

უსარმასარი ნიუ-იორკის უბნებში მრავალი ათათასი მუშა დაბორიანლობდა, ისინი ცდილობდნენ სამუშაოს შოენას, ძაგრამ... სამუშაო არსად ჩანდა.

მილიონერები კი დააქროლებდნენ აუტომობილებს, და მდიდრულად მორთული სახლებიდან მოინძოდა როიანლის ხმა...



ერთ დღეს ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაში უსარმაზარი სახლის კიბეზე შენიშნა პოლიციელმა ვიღაც კაცი, რომელსაც ეძინა. პოლიციელი გაიქცა მისკენ, რომ ცემა-ტყუანით გამოეგდო ის იქიდან, ვინაიდან მან იცინა, რომ ამ უსარმაზარ სახლში ცხოვრობს მდიდარი მქექარნე თავისი ცოლით და ორი შვილით, და აბა როგორ შეიძლება მათი სახლის კიბეზე ღამის გათევად!


როდესაც მივარდა პოლიციელი, დაინახა, რომ ეს კაცი მკვდარი იყო. მან გაუჩინა ჯიბეები, წაიკითხა მისი პირადობის მოწმობა, და მალე ავტომობილმა საავადმყოფოსკენ გააქანა კიბეზე მომკვდარი კაცი.

ჯონის სიკვდილის შესახებ გასეთმა არაფერი არ დაბუჭდა: აბა რა საინტერესოა ის! განა ნიუ-იორკში და, საერთოდ, კაპიტალისტური ქვეყნების ქალაქებში ცოტა ასეთი უმუშევარი კვდება შიმშილით?!

იმევე დღეს გასეთში დასატული იყო შესანიშნავი კატა. მის სურათს ქვეშ ეწერა:

„მთელ მსოფლიოში უუმდიდრესი კატა მიცი.“

მიცი ექვსი წლის იყო. მას ბედმა გაუღიმა: ის მოხედა მილიონერ მოლ აიდის ოჯახში.



მილიონერს ძალიან შეუყვარდა თავისი მიცი და დიდ პატივში ჭეხუდა. 1930 წელს უეცრად გარდაიცვალა მოლ აიდი, და კატას დარჩა მდიდრულად მორთული სახლი. გუმბან, ნაშუადღევს 2 საათსუ, მიცი მოულოდნელად მოკვდა. ექიმების აზრით, ის სიმსუქნემ მოკლა. როგორც მხარეულმა უამბო ჩვენი გასეთის თანამშრომელს, მიცი, თურმე, ძალიან ბევრს სჭამდა. ეს იყო უმდიდრესი კატა მთელ მსოფლიოში“.

ვინაიდან ამერიკაში მილიონერების კატებს არა აქვთ უფლებები
 თავისი ქონება უანდერმონ ვისმეს, მიცის კი ჰირდაპირი შემოქმედ
 დრეები არ დაწინებია, მისი ქონება აუქციონით გაიყიდა. მისი სა-
 წოლი, ძვირფასი ბეწვებით მორთული, 20000 მანეთად იყიდა,
 სასლი კი—50000 მანეთად.

ნიუ-იორკის მდიდრულად მორთულ სახლებში იმ დღეს ეველ-
 გან ლაზარაკობდენ მილიონერის კატის უცვარ სიკვდილზე...

ნიუ-იორკის ქუჩებში ათიათასობით დაბორიბლობდენ უმუ-
 შევრები, ერთი მათგანი ძლივს დაბორივდა ფეხებს, უცვებ შეხედა
 მდიდრულად მორთულ სასლს, სადაც ამ რამდენიმე დღის წინ
 ფანჯარაში კატა სუკს მიირთმეოდა, შეჩერდა და თავისთვის წაილა-
 ზარაკა:



ბოლივია აპატორებს დამონსტრანტ
 მუშას.

— ჯონი, ნიუ-იორკელი მუ-
 შა, მიმძილმა მოკლა. კატა, მი-
 ლიონერის კატა, შედმეტს ჭამამ
 დაასწეულა, სიმსუქნემ იმსწერ-
 ზლა...

ამ დროს ფანჯარაში სხვა
 კატა გამოხდა. მას მხარეულმა
 თბილი რმე მიართვა. ეს სასლი
 სხვა მილიონერს ევიდა თავისი
 კატებისათვის...

შეხედა მუშამ ამ სურათს,
 თვალწინ წარმოუდგა 30 მი-
 ლიონი უმუშევარი (ასე გაი-

ზარდა უმუშევართა რიცხვი კაპიტალისტურ ქვეყნებში), მოკუშმა
 მუშტი და გაბრაზებულმა წამოიფიქრა:

— მაღე, მაღე მოგიდებთ ბოლოს, მუქთანორებო!



კორეაურნათა სიძლურა

ბოდი, ძებო, სიმღერები
 შემოვძახოთ ერთსმად ეველამ;
 რა დავიწყოთ, რომელი სვობს—
 ურმული თუ ოროველა?
 აღარც ერთი აღარ გვარგებს,
 ორივეში ისმის კვნესა,

კალექტივის მიღწევებზე
 ვგუგუნებდეთ უნდა დღესა.
 მამ ჩვენც ვჭეჭოთ ეს სიმღერა,
 რომ შევემატოს სიმხნე, ძალა,
 მტერს კი მესად თავს დაატყდეს,
 წაგვიდოს ცუცხლის აღად.

დ. თურდოსპირელი.

შენიბები ქალაქისაგან

ოთხკუთხი ქალაღი დაყავით ხაზებით 16 სწორ კვადრატად, როგორც ნაჩვენებია ნახატზე № 1. შავ ხაზებზე შექვერით მაკრატლით. ნახატზე № 2 ჩანს, თუ სად უნდა დაუხატოთ სახლს ფანჯარები და კარი (ფან-

კვადრატები უნდა გადაათაროთ შუამდე და დააწებოთ მე-8 კვადრატს მე-16 და მე-4. ეს მე 4 ნახატზე ნათლად ჩანს. ამნაირად გაკეთდება სახლის გვერდები და სახურავის სამკუთხედი. სახურავისათვის უნდა გამოკრათ ქა-

1	2	3	4
5	6	7	8
9	10	11	12
13	14	15	16



ჯრები არის 1, 2, 3, 4 და 15 კვადრატზე, კარი—14-ზე). როდესაც კარს და ფანჯრებს დახატავთ, გადალუნეთ კვადრატები ისე, როგორც მე-3 და მე-4 ნახატზეა ნაჩვენები. მე-5 და მე-8 კვადრატებს 1-ლი და მე-13

ღალღისაგან ცოტათ უფრო დიდი, რომ 4 კვადრატი დაფაროს და ცოტათ კიდევები გადაჩეხს, უნდა გაღუნოთ და დააწებოთ ზემოდან და დაფაროთ მე-6, მე-7, მე 10 და მე 11 კვადრატი. ნახ. მე-5 უკვე დასრუ-

ლებული სახლია. შეგიძლიათ გააკეთოთ რამდენიმე დიდი და პატარა სახლი, სხვადასხვა ფერით გააფერადოთ, დაამწკრივოთ და გამოგივთ მთელი ქუჩა, მთელი პატარა ქალაქი. შეგიძლიათ სახლებთან ხეებიც ჩადგათ აქაიქ—გამოკერით მწვანე ქალაქისაგან, ან თეთრი ქალაქი გააფერადეთ ჯერ.

აქ ნაჩვენებია (ნახ. 6), რო-

გორ უნდა გამოკრათ ნაძვები უნდა გამოკრათ ორ-ორი ერთად, რომ სწორი გამოვიდეს. დახედეთ ნახ. 6 და გაიგებთ, როგორ უნდა შეწყებოთ ნაძვი, რომ ნამდვილ ნაძვს დაემსგავსოს. როგორც პუნქტირით არის ნაჩვენები, ნახევარ-ნახევარი უნდა დაეწყებოს ერთმანეთს ოთხი ნაჭერი. ამნაირად შეიძლება სხვა ხეც გააკეთოთ.




აი როგორ მოვანყვანთ ჩვენი ჯგუფის მუშაობა

გუშინ ჩვენ ბრიგადებად დავიყავით. სულ 5 ბრიგადაა. თითო ბრიგადაში 10 მოწაფე ავირჩიეთ. ბრიგადელებმა თვალყური უნდა ადევნონ მოწაფეთა ყოფაქცევას; წესრიგი და სისუფთავე რომ იყოს დაცული, ამისთვის პლაკატებიც გავაკარით კედელზე: „იატაკზე დაფურთხება არ შეიძლება“.

ბრიგადამ უნდა ასწავლოს სუსტ მოწაფეებს, რომ ჯგუფში არავინ დარჩეს წლის ბოლოს.

ავირჩიეთ კლასკომი. კლასკომმა კრება უნდა მოაწყოს; მოწაფეების კრებამ უნდა აირჩიოს მდივანი და თავმჯდომარე. მდივანმა კრების ოქმი უნდა დაწეროს. აი ასე უნდა გამოვასწოროთ ჩვენი ჯგუფის მუშაობა.

ქეთო ხაანიშვილი.



საბავშვო წიგნები

1. ე. შვანცი. რა უფრო სწრაფია? თარგმანი მარიჯანიხ.

ორი პატარა ზანგი შეეჯიბრა ერთმანეთს თუ, რომელი შემო-
უვლის უფრო სწრაფად მთელ ქვეყანას. ორივე გაუდგა გზას. გზა-
დაგზა ისინი სარგებლობდნენ სამგზავროდ ცხენით, აქლემით, ირმით,
რკინის გზით, მოტოციკლეტით, გემით, დირიჟაბლით, ავტომო-
ბილით და აეროპლანით. ბავშვებმა გაიგეს, რომ ამათზე უფრო
სწრაფი არის სხვა რამ...

რა არის უფრო სწრაფი და რა ნახეს ბავშვებმა გზაში, როგორ
სცვლიდა ცხელ ქვეყანას ცივი, რა და რა მცენარე და ცხოველი
ნახეს და რა განიცადეს პატარებმა,—ამას თვითონ წაიკითხავთ ამ
პატარა, ლამაზ, ფერადსურათებიან იაფ წიგნში.



2. კარტოფილი.

„კარტოფილი“ უთუოდ პატარების საყვარ-
ელ წიგნად გადაიქცევა. რომელ პატარას
არ უყვარს ბოსტანში მუშაობა და შეეჯიბრე-
ბა,—აბა ვისი კვალი უკეთესი იქნება და უფრო
მეტ ნაყოფს მოიტანსო. განსაკუთრებით ეს
ითქმის ბავშთა კოლექტიურად მომუშავე
ჯგუფზე.

ამ მშვენიერ ფერადსურათებიან წიგნში აწყ-
რილია ერთი კოლმეურნეობის ბავშვების ჯგუფების შეჯიბრება
კარტოფილის მიწიდან ამოღებაში. თქვენ გაიგებთ, როგორ გაიმარ-
ჯვეს პატარა ოქტომბრულებმა და ყველაზე უწინ დაასრულეს სა-
მუშაო. თქვენ გაიგებთ ამ წიგნიდან—რა მნიშვნელობა აქვს კო-
ლექტივის და ურთიერთ დახმარებას. წიგნი პატარებისათვის არის
დაწერილი მსუბუქი, გასაგები ვნით.

